ხელშეკრულება №20 №=48

ქ. თბილისი 03 სექტემბერი, 2014წ.

ერთი მხრივ, სსიპ სსიპ ქალაქ თბილისის #63 საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი **დირექტორის ნანა მონიავას** სახით (შემდეგში „შემკვეთად" წოდებული), და მეორე მხრივ, შპს „კომპაუდი" (შემდეგში „შემსრულებლად" წოდებული) წარმოდგენილი მისი **დირექტორის კობა ბერაძის** სახით, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. სსიპ ქალაქ თბილისის #63 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი უძრავი ქონების 83,59 კვ.მ ბუფეტის საიჯარო ქირის განსაზღვრა.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

2.1. **შემკვეთი ვალდებულია:**

2.1.1. შეუქმნას **„შემსრულებელს"** სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო პირობები.

2.3. **შემსრულებელი ვალდებულია:**

2.3.1. შეფასება განახორციელოს შეფასების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს იმ მეთოდოლოგიასა და მიდგომებს, რომლებიც ცალსახად არის დაფიქსირებული საერთაშორისო შეფასების კომიტეტის (International valuation Standarts Committee) მიერ შეფასების საერთაშორისო გამოცემაში.

2.3.2 .შეფასებისას შემოთავაზებულ მეთოდოლოგიაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი შემოთავაზებული მიდგომა და ჩასატარებელი სამუშაოთა აღწერა თითოეული ტიპის საგანზე.

მუხლი 3. მომსახურების გადაცემა

3.1 შეფასებაზე დასკვნის წარდგენა ხდება შემკვეთის უფლებამოსილ პირზე შემსრულებლის წარმომადგენლის მიერ გადაცემით ან ფოსტით.

3.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების თარიღად ითვლება შემკვეთისათვის შეფასების დასკვნის წარდგენის თარიღი.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ვადები

4.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადა დადგენილია 2014 წლის 04 სექტემბრამდე.

4.2 შემსრულებლის მიერ ვალდებულების შესასრულებლად ვადის გაგრძელება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, იმის მიუხედავად იგი მოხდა თუ არა შემსრულებლის მიზეზით, წარმოადგენს ვადის გაგრძელების საფუძველს იმ პერიოდამდე, სანამ არ შესრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.

მუხლი 5. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1 შემკვეთის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 118 (ასთვრამეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

5.2 მომსახურებაზე საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება შემკვეთისათვის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის მხარეები მატერიალურად პასუხის მგებელნი არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 შემსრულებელი შეფასებას ახორციელებს მხოლოდ შეფასების პროცესში წარ-დგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე. დოკუმენტების სისწორესა და დოკუმენტებში ასახული მონაცემების უტყუარობაზე პასუ ხისმგებელი არიან ამ დოკუმენტების შემქმნელი ან ხელმომწერი პირები.

6.3 ნებისმიერ სარჩელსა და პრეტენზიაზე შემსრულებლის პასუხისმგებლობა შემოფარგლულია ამ ხელშეკრულების თანახმად მიღებული ან მისაღები თანხის ოდენობით.

მუხლი 7. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.ა

7.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამარ თლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. სხვა პირობები

9.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლე ბები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელ თა გან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

სსიპ თბილისის #63 საჯარო სკოლა
ქ.თბილისი, დ. უზნაძის ქ. #109
სს „ლიბერთი ბანკი"
ა/ა: GE22LB0121155128168000
ს/კ 202055444

შპს „კომპაუდი"
ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. #6
სს „თიბისი ბანკი".
ბანკის კოდი:TBCBGE22.
ა/ა: GE46TB0739736020100009
ს/კ 202 385 169

დირექტორი

ნანა მონიავა

დირექტორი

კობა ბერაძე

ა ქ ტ ი

გაწეული აუდიტორული მომსახურების მიღება–ჩაბარების შესახებ

ქ. თბილისი 2014 წლის 04 სექტემბერი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, აუდიტური კომპანია „კომპაუდი“-ს დირექტორი კობა ბერაძე და სსიპ ქალაქ თბილისის №63 საჯარო სკოლის დირექტორი ნანა მონიავა ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ აუდიტურმა კომპანია „კომპაუდმა“ შეასრულა 2014 წლის 03 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება – შემკვეთის მიერ წარმოდგენილ უძრავი ქონების, სკოლის ბუფეტის საიჯარო ქირის აუდიტორული შეფასება. გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 118 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

„შემსრულებელმა“ ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა“ ჩაიბარა:

აუდიტორული დასკვნა.

მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შესრულებულია და ექვემდებარება ანაზღაურებას.

„შემსყიდველი“
ნ. მონიავა

„შემსრულებელი“
კ. ბერაძე